ახალი სიმღერა

პატარ ბიჭი ვიყავი,
პატარა ბიჭუკელაო;
ნდაურჩი დედა, კარგი ხარ!ნ
შემომნატროდა ყველაო.

პატარა გოგო მიყვარდა,
პატარა გოგუცანაო;
ცაში ვარსკვლავი ც არ ბრწყინავს
ლამაზი მიმსთანაო.

თავი მოგვწონდა ორივეს,
გულს კარი ჰქონდა ღიაო;
შიგ ჭიკჭიკობად ბულბული,
ვარდი ჰყვაოდა იაო.

გვეგონა, დაბლა ქვეყანა
მაღლა ცით დათაფლულაო,
შიგ სიყვარული ნათესი
ჩვენს კარზე ამოსულაო!

თავზე დავიდგით გვირგვინი,
მივდექით საყდრის კარსაო;
მამასახლისმა დაგვჩხავლა:
-ნმღვდელო, რად სწერდი ჯვარსაო!

ნეფეს სალდათად იწვევენ,
უნდა მოხადონ ვალიო;
სამ წლამდის ქვრივად დარჩება
ხელმწიფის პატარძალიონ.

ავტირდი პატარა ბიჭი,
პატარა ბიჭუკელაო;
ნვაი შენს დედას, საბრალოვ!ნ
შემომტიროდა ყველაო.

პატარა გოგოც ატირდა,
პატარა გოგუცანაო,
მაგრამ ჩემ დაბრუნებამდე
სხვა ნახა ჩემისთანაო.

1889 წ.